

საჯარო-კერძო პარტნიორობის განვითარების შესაძლებლობები
საქართველოში

ირაკლი სულაბერიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: უჩა ძიმისტარიშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირაკლი სულაბერიძე

2016 წელი

აბსტრაქტი:

განვითარებად სახელმწიფოთათვის ინვესტიციების ნაკადის შემოძინების და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროს გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია სახელმწიფომ გაიზიაროს საერთაშორისო პრაქტიკა, აწარმოოს მოქნილი საინვესტიციო პოლიტიკა და ინვესტორს შეუქმნას კომფორტული გარემო. საჯარო-კერძო პარტნიორობის დამკვიდრება არის ერთ-ერთი საშუალება ამ მიზნების მისაღწევად.

საჯარო-კერძო პარტნიორობა მოიცავს საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების დაგეგმვის, მშენებლობის, დაფინანსებისა და ოპერირების მიზნით გაფორმებულ კომერციულ ხელშეკრულებებს ცენტრალურ თუ ადგილობრივ მთავრობასა და კერძო ბიზნესს შორის. აღნიშნული ხელშეკრულებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათის მატარებელ ხელშეკრულებებს, რომელშიც გაერთიანებულია საჯარო და კერძო სექტორის მიერ აღებული რისკები, ვალდებულებები და მათი განხორციელების გზები.

საქართველო განვითარებადი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება და ძალიან მნიშვნელოვანია გაკეთდეს საქართველოში საჯარო-კერძო პარტნიორობის განვითარების შესაძლებლობების ანალიზი. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა დადგინდეს საქართველოში არსებული საკანონმდებლო გარემო რამდენად იძლევა შესაძლებლობას, ეფექტურად იმუშავოს ისეთმა სახელშეკრულებო ურთიერთობის ტიპმა, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე სიახლეს წარმოადგენს. არის თუ არა ადგილობრივი საკანონმდებლო გარემო საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში და გამოიკვეთოს საჯარო-კერძო პარტნიორობის განვითარების პოტენციალი.

ძირითადი სამიზნო სიტყვები: PPP;ინვესტიციები; ინფრასტრუქტურა; საჯარო სექტორი; კერძო სექტორი; კონცესიები.

Abstract:

In developing country, it is necessary to share international experience, follow flexible investment policy and create comfortable environment for investor, to guarantee an investment proceeds, public infrastructure and service field improvement. Public-Private Partnership is one of the ways to achieve these objectives.

Public-Private Partnership involves commercial agreements between central or local government and private business, concerning the planning of public service and public infrastructure, construction, financing and operating. Above cited agreements represent civil agreements that combine risks and obligations, taken by the public and private sector.

Georgia is among the developing countries and it is very important to analyze the possibility of developing the Public-Private Partnership. With this objective, it is necessary to establish the legislative environment, opportunity of effective functioning of new contractual relationship. It is necessary to identify the conformity of local legislation with the international standards and show the potential of developing the Public-Private Partnership.

Key search words: PPP, Investments; Infrastructure; Public Sector; Private Sector; Concessions.